სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდების დისტანციურად ჩატარების ინსტრუქცია

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდების დისტანციურად ჩატარების ინსტრუქცია (შემდგომში – ,,ინსტრუქცია“) განსაზღვრავს უნივერსიტეტში 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დასკვნითი/დამატებითი გამოცდების (შემდგომში - ,,გამოცდა“ ან ,,გამოცდები”) ორგანიზებულად, დისტანციურად ჩატარების, გადავადების, საგამოცდო ნაშრომების შეფასებისა და გასაჩივრების, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის წესს.

2. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდები უნივერსიტეტში ტარდება წინამდებარე ინსტრუქციის გამოყენებით, როგორც წესი, დისტანციურად. წინამდებარე წესიდან გამონაკლისები შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 2. გამოცდების ჩატარების ორგანიზაციული უზრუნველყოფა

1. უნივერსიტეტში გამოცდების ორგანიზებას ახორციელებს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეული წინამდებარე ინსტრუქციით განსაზღვრული წესების შესაბამისად (საგანმანათლებლო ერთეულის მიერ ცალკეული გამოცდის ჩატარების მიზნით შესაბამისი აუცილებელი რესურსების სრულად არქონის შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაცია შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მხარდაჭერას გამოცდის ორგანიზაციული უზრუნველყოფისათვის).

2. გამოცდების დისტანციურ რეჟიმში სტუდენტის მონაწილეობის შეუძლებლობის დროს (მაგ: ინტერნეტის ან ელექტრონული ხელსაწყოს არქონა) სტუდენტმა გამოცდების დაწყებამდე 10 დღით ადრე Lms.tsu.ge-ის მეშვეობით უნდა აცნობოს უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრს და შესაბამის საგანმანათლებლო ერთეულს, რა დროსაც გამოცდა შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მოთხოვნის შემთხვევაში ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის ან შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ, უნივერსიტეტის რექტორის 2013 წლის 26 დეკემბრის N182/01-01 ბრძანებით განსაზღვრული წესით (გარდა ზეპირი გამოცდისა ან გამოცდის ზეპირი კომპონენტისა), მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე ინსტრუქციისა და საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით. ამ პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევების არსებობისას, თუ გამოცდა ტარდება შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ, მისი ჩატარების პროცედურა დგინდება ამავე საგანმანათლებლო ერთეულის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილი პროცედურით, საქართველოს მთავრობისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით.

3. გამოცდების ორგანიზებულად, დისტანციურად ჩატარების მიზნით საგანმანათლებლო ერთეული ატარებს გამოცდებს წინამდებარე პროცედურის მოთხოვნათა მაქსიმალური გათვალისწინებით და, ამასთანავე ვალდებულია დაადგინოს ის დამატებითი რეგულაციები, რომლებიც წინამდებარე პროცედურით განსაზღვრული არ არის და საჭიროებს მოწესრიგებას საგანმანათლებლო ერთეულის მიერ საკუთარი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

4. გამოცდების ორგანიზებას შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეული უზრუნველყოფს Lms.tsu.ge ან Zoom ან Moodle ან Meet ან Classroom ან სხვა პროგრამით.

5. გამოცდების ორგანიზებულად, დისტანციურად ჩატარების მიზნით საგანმანათლებლო ერთეული უზრუნველყოფს შემდეგი ტიპის ინფორმაციის შეკრებას:

ა) შესაბამის სემესტრში განხორციელებული სასწავლო კურსების სია დასკვნითი გამოცდის ფორმატის (ზეპირი/წერითი/შერეული), შეფასების მეთოდის (ტესტი,პრაქტიკული/თეორიული დავალება, პრეზენტაცია, კაზუსის ამოხსნა და სხვა) და შეფასების კრიტერიუმის და მისი ჩატარების პლატფორმის მითითებით;

ბ) იმ სასწავლო კურსების ჩამონათვალი, რომელთა დასკვნითი გამოცდის დავალებათა შესამოწმებლად საჭიროა პროგრამა Turnitin-ის გამოყენება;

გ) საგამოცდო სესიებში მონაწილე სტუდენტების სავარაუდო სია (იმის მითითებით, სტუდენტი გამოცდას აბარებს დისტანციურად თუ აქვს სხვა, წინამდებარე პროცედურით განსაზღვრული საჭიროება);

6. შეფასების სისტემა (სასწავლო კურსების სია, დასკვნითი გამოცდის ფორმატი, შეფასების მეთოდის, კრიტერიუმების და ჩატარების პლატფორმის მითითებით) უნდა დამტკიცდეს ფაკულტეტის საბჭოზე.

7. საგანმანათლებლო ერთეულების მიერ წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სასწავლო პროცესების მართვის დეპარტამენტებმა უნდა უზრუნველყონ:

ა) სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დროული ინფორმირება საგამოცდო სესიების მიმდინარეობისა და კონკრეტული სასწავლო კურსების საგამოცდო თარიღების შესახებ;

ბ) იმ სტუდენტთა და გამოცების შედეგების შემფასებელი პერსონალის დროული ინფორმირება, რომელთა საგამოცდო სესიები წარიმართება საგამოცდო სივრცეებში.

გ) საგამოცდო პროცესის ტექნიკური მხარის გამართულობა.

8. გამოცდის მიმდინარეობისას წარმოქმნილი ნებისმიერი ტექნიკური ხარვეზის შესახებ სტუდენტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს საგანმანათლებლო ერთეულს.

9. გამოცდის ზეპირი ფორმატით ჩატარების შემთხვევაში, გამოცდა უნდა ჩაიწეროს სტუდენტის თანხმობით;

10. გამოცდის ყველა მონაწილის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს პირადი მონაცემების დაცვა.

მუხლი 3. გამოცდების განრიგი

გამოცდების განრიგის ფორმირებას (მისი აუცილებლობის შემთხვევაში) უზრუნველყოფს ის სტრუქტურული ერთეული, რომლის მიერაც ტარდება გამოცდა **ან საგამოცდო ცენტრი სტრუქტურული ერთეულის მიმართვის საფუძველზე.**

მუხლი 4. გამოცდის გადავადების, საგამოცდო ნაშრომების შეფასებისა და გასაჩივრების, სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში გამოცდების შედეგების დაფიქსირების, საჩივრის განხილვისა, გადაწყვეტისა და სხვა წესები

გამოცდის გადავადების, საგამოცდო ნაშრომების შეფასებისა და გასაჩივრების, საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტის, სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში გამოცდების შედეგების დაფიქსირების წესი, ასევე წინამდებარე ინსტრუქციის მიერ განსაზღვრულ დებულებებთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება უნივერსიტეტში მოქმედი შიდასამართლებრივი

აქტებითა და ამ ინსტრუქციის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

მუხლი 5. გარდამავალი დებულებები

წინამდებარე ინსტრუქცია მოქმედებს მხოლოდ 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის გამოცდებისათვის და მოქმედებას წყვეტს მათი დასრულებისთანავე.